სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/168

ქ. თბილისი

31 ~~ოქტომბერი~~ 2024 წ.

სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კვლევის ცენტრის სახელწოდების ცვლილების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის N 133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის შესაბამისად, სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 31 ოქტომბრის N 01-05-02/29 ოქმის საფუძველზე,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. შეეცვალოს დასახელება სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კვლევის ცენტრს და ეწოდოს „მასალათა კვლევის სასწავლო სამეცნიერო ცენტრი";

2. მოწონებული იქნეს ცენტრის სახელის შეცვლასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ცვლილებები სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კვლევის ცენტრის დებულებაში ;

3. დადგენილებით გათვალისწინებული საკითხი დასამტკიცებლად გადაეცეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს);
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**